საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1005 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski"-ს შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული საქართველოში, სვანეთში, მესტიაში ზედაპირული საბაგიროების, ფიქსირებული სკამ-საბაგიროებისა და მოცილებადი საბაგიროების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დამატებითი შეთანხმების პროექტის მოწონების შესახებ

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski"-ს შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული, საქართველოში, სვანეთში, მესტიაში ზედაპირული საბაგიროების, ფიქსირებული სკამ-საბაგიროებისა და მოცილებადი საბაგიროების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ დამატებითი შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და

საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი